# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №186
## 2020 წლის 11 აგვისტო

## ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველები:

„

| | | |
|---|---|---|
| 558 | 4198 | სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი |
| 769 | 4409 | ა(ა)იპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება |

“.

2. ბიუჯეტის განმკარგველები – 4410 – ა(ა)იპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა, 4411 – ა(ა)იპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება, 4412 – ა(ა)იპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტი ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდი, 4413 – ა(ა)იპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „საირმე“, 4414 – ა(ა)იპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი, 4415 – ა(ა)იპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | |
|---|---|---|
| 770 | 4410 | ა(ა)იპ – ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი |
| 771 | 4411 | ა(ა)იპ – ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება |
| 772 | 4412 | ა(ა)იპ – ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი |
| 773 | 4413 | ა(ა)იპ – საფეხბურთო კლუბი „საირმე“ |
| 774 | 4414 | ა(ა)იპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება |
| 775 | 4415 | ა(ა)იპ – ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი |

“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.